


ირმა მალაციძე



დორის გულე ხელი

## კლასი IV

### კითხვის დონე – 4.1

#### ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

## მხატვარი – ზურა სულაკაური

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას და ნუგზარ არჩემაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ნიგნის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) განეული დახმარებისთვის.

„საქპატენტთან“ თანამშრომლობით.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მსარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.



G-PRIED

Georgia Primary Education Project  
საქართველოს განათლებისა და კულტურის მინისტრის მიერთვის



საქართველოს  
სამეცნიერო  
SAKPATENTI  
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY  
CENTER OF GEORGIA  
[www.sakpatenti.org.ge](http://www.sakpatenti.org.ge)


# Georg Philipp Telemann



დიდი ხნის წინათ ერთ პატარა ქვეყანაში ცნობილი  
მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები,  
არქიტექტორები ცხოვრობდნენ. ყველას ძალიან უყვარდა  
თავისი საქმე. ქვეყანას ინტელექტიანას ეძახდნენ. ალ-  
ბათ, სხვა სახელი არც მოუხდებოდა.

ინტელექტიანაში სიცოცხლე დუღდა. ყველა თავისი  
საქმით იყო დაკავებული. მწერლები წერდნენ, მხატვრები  
ხატავდნენ, კომპოზიტორები მუსიკას ქმნიდნენ...

ამ ქვეყანაში ცხოვრობდა ცნობილი კომპოზიტო-  
რი დორემიუს სოლასი. იგი სონატებსა და სიმფონიებს  
წერდა. ოპერის თეატრში მისი კონცერტები ანშლაგით  
ტარდებოდა. ქუჩაშიც ყველა სოლასის მუსიკას ღილინებ-  
და. იმ დროს არც ფლერები არსებობდა და არც აიპოდე-  
ბი. ადამიანები ოპერაში დადიოდნენ მუსიკის მოსასმენად.



ერთხელ ინტელექტუალი ერთი მოხეტიალე მუსიკოსი ჩამოვიდა. მუსიკოსს გახუნებული ლაპადა ეცვა. თავზე გაცრეცილი შავი შლაპა ეხურა. ის ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებოდა და ვიოლინოზე უკრავდა. მუსიკოსის ნამდვილი სახელი არავინ იცოდა. ყველა ლინოვიოს ეძახდა.

ლინოვიომ შეიტყო, რომ იმ დღეს დორემიუს სოლასის ოპერის პრემიერა იყო. ძალიან მოუნდა დასწრება. მთელი დღე სალაროსთან იყო ატუზული, მაგრამ ბილეთი ვერ იშოვა. უცებ დაინახა, როგორ ეზიდებოდნენ მტვირთავები ყუთებს თეატრში. ლინოვიომ დრო იხელთა, ერთ ყუთს თავადაც წამოავლო ხელი და, ვითომ თვითონაც მტვირთავი იყო, თეატრში შეარბენინა. მერე კულისებში დაიმალა და იქიდან უსმენდა მუსიკას. ერთ-ერთი არია განსაკუთრებით მოეწონა და დაიმახსოვრა.



\* \* \*

ლინოვიომ მეორე დღეს დატოვა ინტელექტუანა. დიდი წნის ხეტიალის შემდეგ ერთ ქვეყანას მიადგა. ამ ქვეყანას მეკობრიანა ერქვა. მას ხელმწიფე ნაოჭა მართავდა. ნაოჭა წინათ მეკობრეების კაპიტანი იყო, სავაჭრო გემებს დასდევდა და ძარცვავდა. როცა მოხუცდა, მეკობრეობას თავი დაანება. თავისი მეგობრეებიც წამოიყვანა და აქ დასახლდა.

მოხეტიალე მუსიკოსი მეკობრეების დედაქალაქს მიადგა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სკვერში შევიდა, ვიოლინო მოიმარჯვა და იმ მელოდიის დაკვრა დაიწყო, რომელიც ოპერაში მოისმინა. მის გარშემო ცნობისმოყვარეებმა მოიყარეს თავი. დაკვრა რომ დაამთავრა, ხალხმა ტაში დასცხო.



ლინოვიოს მსმენელებს შორის ხელმწიფის კარის კომპოზიტორიც იდგა. იდგა და შურისაგან ისე გაბერილიყო, ალბათ გასკედებოდა. „ეს ვინ არის, ასეთ მშვენიერ მუსიკას რომ უკრავს? ნუთუ თავად დაწერა? როგორმე ნოტები უნდა ჩავიგდო ხელში“, – გაიფიქრა მან.

მოხეტიალე მუსიკოსმა დაკვრა დაამთავრა და ხალხიც დაიშალა. კარის კომპოზიტორი მიუახლოვდა ლინოვიოს და უთხრა:

– რა კარგად უკრავ! ალბათ, შენი დაწერილია ეს მელოდია.

– არა, ბატონო, რას ბრძანებთ! ეს მელოდია ცნობილ კომპოზიტორს, დორემიუს სოლასის, ეკუთვნის. ის ინტელექტიანაში ცხოვრობს. გაგონილი გექნებათ მისი სახელი.

– რა თქმა უნდა, გაგონილი მაქვს, – ღიმილით მიუგო კარის კომპოზიტორმა. გული კი შურით აევსო. დაინყო იმაზე ფიქრი, როგორ ჩაეგდო ხელში მელოდიის ნოტები. იფიქრა, იფიქრა და უთხრა:

— ძალიან მომეწონა შენი შესრულებული მუსიკა. ჩემი შვილიც უკრავს ხანდახან. იქნებ ნოტები დამიწერო. წა-ვუღებ და გავახარებ.

— სიამოვნებით დაგიწერდით, მაგრამ მე თვითნასწავლი მევიოლინე ვარ. ნოტების არც წერა ვიცი, არც — კითხვა,

— უპასუხა მოხეტიალე მუსიკოსმა.

— რა ნიჭიერი ხარ! — „ალფროთოვანება“ ვერ დამალა კა-რის კომპოზიტორმა. — ეგ არაფერი. შენ დაუკარი და მე

თვითონ ჩავიწერ.

ლინოვიომ დაკვრა დაიწყო. კარის კომპოზიტორი გა-მალებით იწერდა ნოტებს. მერე მადლობა გადაუხადა და სასახლისკენ გასწია. ხელმწიფის წინაშე წარდგა და მო-ახსენა:

— თქვენო უნაოჭესობავ, ახალი ნაწარმოები დავწერე და თქვენ მოგიძლვენით!

ნაოჭას მუსიკის ბევრი არაფერი გაეგებოდა. თუმცა, თავი ისე ეჭირა, თითქოს კარგად ერკვეოდა ხელოვნებაში და უყვარდა კიდეც.

— ახლავე მთელი სამეფო კარი შეიკრიბოს! ჩემმა კომ-პოზიტორმა თავისი ახალი ნაწარმოები უნდა შემისრუ-ლოს! — ბრძანა მან.



ცოტა ხანში მთელი სამეფო კარი სასახლის დარბაზში შეიკრიბა. კარის კომპოზიტორმა პულტზე ნოტები დააწყო, ვიოლინო მოიმარჯვა და დაუკრა. ისეთი გრძნობით უკრავდა, თითქოს ეს-ესაა ნაწარმოების შეთხვა დამთავრაო.


დარბაზი გასუსული უსმენდა. კომპოზიტორმა დაკვრა დაასრულა. გაისმა ოვაციები და ტაში.

– ბრავო, ბრავო, ბის! – აღტაცებული მსმენელი მუსიკის გამეორებას მოითხოვდა.

მალე მთელი მეკობრიანა მასზე ლაპარაკობდა. ქუჩებსა და დუქნებში ყველა ახალ მელოდიას ღიღინებდა.

\* \* \*

ერთხელაც კომპოზიტორი დორემიუს სოლასი მეკობრიანაში საგასტროლოდ ჩამოვიდა. გამოაკრეს აფიშები. გაიყიდა ბილეთები.



კონცერტს ხელმწიფე ნაოჭაც ესწრებოდა. ის საკუთარ ლოჟაში იჯდა და თეატრალური ჭოგრიტით ათვალიერებდა სცენას.

კონცერტი დაიწყო. ორკესტრმა ჯერ ერთი ნაწარმოები შეასრულა, მერე – მეორე, მესამე...

ბოლოს დორემიუს სოლასის ცნობილი ნაწარმოების დროც დადგა. ნაცნობი მუსიკის გაგონებაზე მთელი დარბაზი ახმაურდა.

- ეს ხომ ჩვენი კარის კომპოზიტორის მუსიკა!
- შეხედეთ, ერთი, ამ თვითმარქებიას!
- ჩამოდი სცენიდან, შე მატყუარა! – გაისმა შეძახილები დარბაზში.


დორემიუს სოლასი დაიბნა. შეეცადა ეთქვა, ჩემი ნაწარმოებიაო. მაგრამ ვინ დააცადა! ხალხმა ყვირილი ატეხა.

ამ დროს სცენაზე ერთი ახალგაზრდა ავიდა. მას გახუნებული ლაბადა ეცვა და გაცრეცილი შავი შლაპა ეხურა. ახალგაზრდამ ხელით ანიშნა ხალხს, დაწყნარდითო. დარბაზი ნელ-ნელა დამშვიდდა. ლინოვიომ მაყურებელს მიმართა:

- მე ვიცი სიმართლე. დორემიუს სოლასი ამ მუსიკის ნამდვილი ავტორია. ეს მელოდია მე დავუკარი ქუჩაში. კარის კომპოზიტორმა კი მომატყუა და ნოტები ჩაიწერა. მე რა ვიცოდი, ვინ იყო ან რისთვის უნდოდა. როგორც ჩანს, დორემიუს სოლასის მუსიკა მიისაკუთრა.

მოხეტიალე მუსიკოსს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სცენაზე ორი ადამიანი ავიდა. ისინი მეზობელი ქვეყნიდან ჩამოსული კოპიტო და პატიტო იყვნენ. მათ ქვეყანას სამართლიანა ერქვა. კოპიტო და პატიტო იცავდნენ ადამიანების საავტორო უფლებებს. მათ გრაგნილი გაშალეს და დაიწყეს კითხვა. აი რა ეწერა გრაგნილში:

„ეს დოკუმენტი მოწმობს, რომ მოცემული ნაწარმოები (ნოტები იხილეთ დანართში) ეკუთვნის კომპოზიტორ დორემიუს სოლასის. დოკუმენტი იცავს მის საავტორო უფლებას. თუ ვინმე ავტორის ნებართვის გარეშე შეასრულა ან მიისაკუთრა ნაწარმოები, კანონით დაისჯება“.



იცოცხლეთ, კარის კომპოზიტორს შეეშინდა! აღარ იცოდა, სად დამალულიყო. ხალხი ახლა მისი ლოფისკენ შებრუნდა და ახმაურდა. კარის კომპოზიტორმა გაქცევით უშველა თავს.

თუმცა მოგვიანებით ჯარიმის გადახდა მაინც მოუწია. თანაც პირობა დადო:

— მეორედ ასეთ რამეს აღარ ჩავიდენ. თუ დორემიუს სოლასის მუსიკის დაკვრას გადავწყვეტ, ყველგან მოვიხსენიებ მის სახელს და ჰონორარსაც გადავუხდი.

დორემიუს სოლასი ინტელექტიანაში დაბრუნდა. ბედნიერი იყო, რომ ყველგან მის მუსიკას ღიღინებდნენ. ამაზე დიდი შთაგონება რა უნდოდა! შინისკენ მიიჩქაროდა, რომ ახალი მუსიკის წერა დაეწყო. ლინოვიოც თან წაიყვანა და თავის ორკესტრში მევიოლინედ ჩარიცხა.